სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-39

12 09 2018წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ლია ჭიღლაშვილის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, 27-ე მუხლის, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №09-07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის", რექტორის 2018 წლის 23 ივლისის N1-51 ბრძანებისა და სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, კერძო სამართლის დარგში, კონკურსის წესით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნეს ლია ჭიღლაშვილი;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი